№ 258 დეკემბერი 8, ხუთშაბათი 1888 დეკემბერი 8, ხუთშაბათი 258 №

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხოდელის საგაზეთოს, [illegible] წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

„ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა სთხოვენ მობრძანდნენ მორიგს კრებაზე ხუთშაბათს, 8 დეკემბერს, საღამოს შვიდს საათსა და ნახევარზე.

განსახილველი საგნები:

1) მიმდინარე საქმეები (გამოფენის შესახებ);

2) მოხსენება თავ. ურუსბიევისა ყველის მზადების სკოლის გამართვის თაობაზე თერგის მაზრაში;

3) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრის ბ-ნის პირუმოვისა სხვა-და-სხვა გვარ ფუტკარზე და კავკასიის ფუტკრის უპირატესობაზე სხვა ქვეყნის ფუტკართან შედარებით. საჭიროა თუ არა რაციონალურის მეფუტკრეების გავრცელება კავკასიაში.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებაზე.

ტფილისი, 7 დეკემბერი

კანონის აღსრულება და კანონისამებრ მოქმედება უპირველესი და უმაღლესი ზნეობრივი მოვალეობაა საზოგადოების თითოეულის წევრისა, რადგანაც კანონი საძირკველია წესიერებისა, სიმართლისა და საზოგადოების მშვიდობიანობისა. ამიტომაც არის, რომ კანონის ძალად, თუ განძრახ დარღვევა, სანამ იგი უვარგისი და დროის შეუფერებელი არ აღმოჩნდება და სანამ კანონისავე ძალით უარ-ყოფილი არ იქნება, დიდი, მომაკვდინებელი ცოდვაა და ამ ცოდვას კანონის დამრღვეველს ერთი-ორად აზღვევინებს ხოლმე როგორც თვით კანონი, ისე საზოგადოებაც, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ კანონი ქვა-კუთხედია წესიერებისა, მშვიდობიანობისა და წარმატებისა. ეს არის იმისი მიზეზი, რომ ყოველი შეგნებული და სინიდისიერი წევრი საზოგადოებისა აფასებს კანონის ძალასა და მნიშვნელობას და სცდილობს ხელი მოუმართოს ამ ქვა-კუთხედს წესიერებისასა და წარმატებისას.

როგორც ვსთქვით, კანონის ძალით, თუ განზრახ დარღვევა დიდი ცოდვაა საზოგადოების წინაშე, მაგრამ ნაკლები ცოდვა არ არის, როცა ადამიანს უსაბუთოდ შესწამებენ ისეთს დიდს ცოდვას, როგორიც კანონის დარღვევაა. როდესაც ვისმე ამ დიდს დანაშაულობას სწამებენ, როგორც თვით ბრალდებულს, ისე საზოგადოებასაც სიმართლე აქვს იკითხონ: რისთვის და რა საბუთით სწამებთ კაცს ამ დიდს ცოდვას? თუ რაიმე საბუთი ხელში გაქვსთ, დაანახვეთ ეგ საბუთიც კანონს, საზოგადოებას, გამოაცხადეთ დამნაშავის ვინაობა და თუ საკმაო საბუთი გექნებათ ხელში, დამნაშავე საქვეყნოდ ჩაჰქოლეთ და ჩააქვავეთ. თუ ხელ-მოსაკიდებელი საბუთი არა გაქვსთ-რა, რისთვისა სცხებთ ჩირქს საზოგადოების წევრს, ან რომელსამე დაწესებულებას და რისთვის გვაფრთხობთ იმ ეჭვით, ვითომ ჩვენ შორის ფარულად ჰმოქმედობს კანონის დამრღვეველი და მოწინააღმდეგე და ძირს უთხრის ჩვენს მშვიდობიანობასა და კეთილდღეობას. ერთის სიტყვით, როცა ვისმე უსაბუთოდ და უმიზეზოდ სწამებენ კანონის დარღვევას, საზოგადოებას ზნეობრივი უფლება აქვს ხმა აღამაღლოს და საქვეყნოდ მოსთხოვოს ბრალმდებელს ყოველივე საბუთი და ბრალდებულის დასახელებაც.

ეს ფიქრი ხშირად მოგვსვლია აზრად, რადგანაც გაკიცხვა და გაუპატიურება ადამიანისა და ან რომელისამე დაწესებულებისა ჩვენში ‹არ ახალია—ძველია›. ეს ჭირი იმდენად ძველი და გავრცელებულია, რომ ზოგს მწერალსაც კი ჩვეულებად გადაჰქცევია. მკითხველი, იმედია, გაიხსენებს ზოგიერთ ქვემძრომ მწერალთა ვარჯიშობას ბეზღობასა და ცილის-წამებაში, მთელის საზოგადოებისა და ერის უკადრისად და უმართებულოდ ხსენებაში. ამ მწერალთა თავ-გასულობა თანდათან მატულობს, რადგანაც ჰგრძნობენ, რომ თავის დამჭერი არავინა ჰყავსთ და თითონ-კი იმდენად არ უჭრით არც გულ მართლობა და არც გონება, რომ სიმართლისა და მართებულობის საზღვარს არ ასცილდნენ. როდესაც სხვაგან ერთი უცაბედად წამოცდენილი სიტყვა შესძრავს ხოლმე მთელს საზოგადოებას და განსაცდელში აგდებს თვით წარჩინებულ კაცთაცკი, რომლებსაც იგი სიტყვა წამოსცდათ, ამ დროს ჩვენში განზრახსა და უსაბუთო გაკიცხვას და ცილის-წამებას ადამიანისას, საზოგადოებისასა და ერისას საზღვარი არა აქვს, თითქო ისინი, ვინც ამას სჩადიან, ვერა ჰგრძნობენ, თუ რა ზარალსა და ვნებას აყენებს ქვეყანას იმათი თავ-აშვებული და თავ-დაუჭერელი ქადაგება.

ამ სამწუხარო გარემოებაზე შეგვაჩერა და დაგვაფიქრა ერთმა წიგნმა, რომელშიაც სხვათა შორის ამოვიკითხეთ შემდეგი: „სწავლა-განათლებისადმი მიზიდულება იმ გზით, რომელიც თვით მმართებლობას გაუკვალავს, საზოგადოდ მეტად ძლიერია მთელს ქვეყანაში. სამწუხაროდ, ამ მიზიდულებას და ამ გზას ხელს არ უმართავენ ზოგი დაწესებულება და ზოგიერთი კერძო კაცები, რომლებსაც მთავრობამ უფლება მიანიჭა და დაუთმო ზოგიერთ სკოლების გამგეობა; ეს დაწესებულებანი და კერძო კაცები არ ამართლებენ მთავრობის ნდობას და ძალიან ხშირად არ ასრულებენ კანონსა და ამით დიდს ზარალს აძლევენ როგორც სწავლა-განათლების საქმეს, ისე მთელს ქვეყანას“.

როგორც ჰხედავთ, ამ სიტყვების დამწერი დიდს ცოდვასა და დანაშაულობას სწამებს ზოგს დაწესებულებას და კერძო კაცებს და საბუთი-კი არა მოჰყავს-რა და არც-კი ასახელებს ნიშნობლივ, ვინ არიან ეს მოწინააღმდეგენი კანონისა და ვინ უთხრის ძირს ჩვენს კეთილდღეობასა და წარმატებას. ეხლა ვიკითხოთ: განა საბუთი და უფლება არა გვაქვს საქვეყნოდ მოვსთხოვოთ იმ სიტყვების დამწერს, ნიშნობლივ დაასახელოს კანონის მოღალატენი და იმათი დანაშაულობა კანონისა და საზოგადოების წინაშე? საზოგადოებამ უსათუოდ უნდა იცოდეს, ვინ არიან ეს მოღალატენი და სად ბუდობენ და სად იფარავენ თავსა. მანამდე-კი ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენს შორის არც კანონის მტერი და მოწინააღმდეგეა და არც საზოგადოებისა. რომ ეს ასეა, ყველანი უნდა დარწმუნებულიყვნენ ამ ორიოდ

ფელეტონი

დავით ასლანიშვილი — ჯანდიერი

მოსისხლე შაჰ-აბაზისა.

რაღა თქმა უნდა, მკითხველო, შენ პირველად გესმის ეს სახელი.

არც არის საკვირველი, რადგან შენ ისტორიაში არ ჩაგიხედნია, და თუნდა ჩაგეხედნა კიდეც, თუ არ ბევრის ძებნისა და ქექვისა, უკან ვერ გამოიგნებდი ამ დაუვიწყარს დიდებულს კაცს, რადგან: ზოგან იხსენება დავით ასლანიშვილად, ზოგან დავით ბეგად, ზოგან დავით ხანიშვილად, ზოგან დავით ჯანდიერიშვილად, და სხვა-და-სხვა საქმეში სულ სხვა-და-სხვა გვარად.

როდესაც ვახსენებთ ამ სახელს, გარწმუნებ, ჩემო მკითხველო, და მეტადრე კახელო, გმართებს მოიხადო ქუდი და ისე ისმენდე ამ სახელის ხსენებას.

შენ გაგიგონია, რასაკვირველია, ბუნდად სახელი შაჰ-აბაზისა, მაგრამ შენ შაჰ-აბაზი ის შაჰ-აბაზი გგონია, რომელიც სწერია დავით ერისთავის ზღაპარში და რომელსაც ეწოდება „სამშობლო“. შენ წარმოდგენილი გაქვს, რომ შაჰ-აბაზის წინააღმდეგნი და მებრძოლნი იყვნენ ლეონიძეები, ხიმშიაშვილები და ამისთანები. ნამდვილი-კი, ვინ იყო შაჰ-აბაზი, რა დღეები დააყენა იმან საქართველოს, ვინ იყვნენ ქართველებში მებრძოლნი და წინააღმდეგნი შაჰ-აბაზისა, მხსნელნი თავის სამშობლო ქვეყნისა, შენ არა იცი-რა.

აი ეს უცნობი შენთვის კაცი არის ის ზღაპრული კაცი-კი არა, რომელთაც შენა ჰხედავ „სამშობლოში“, არის ნამდვილი მომქმედი კაცი, თავ-განწირული თავის ქვეყნისთვის, დამხსნელი თავის სამშობლოსი ტყვევნისა და მოწყვეტისაგან.

იყო მეღვარი დრო, რომელსაც ეტყვიან შაჰ-აბაზის დროს და რომლისაც მსგავსი, როგორც მოგვითხრობენ მატიანენი, თავის გაჩენიდამ საქართველოს არ დასდგომოდა. ეს იყო ის დრო, როდესაც ძლიერმა და საშინელმა შაჰმა სპარსეთისამ, აბაზმა გადასწყვიტა მოუღოს ბოლო საქართველოს სახსენებელს.

შაჰ-აბაზს ჯერ დიდხანს არ ეცალა ამ საქმისთვის. მანამ მოიცლიდა, ის შეუდგა შორიდამ საქმეს, რომ დაესუსტებინა კახეთი და აღარ გასძნელებოდა მისი ბოლოს მოღება.

შაჰ-აბაზმა ამის გულისთვის იქიდამ დაიწყო, რომ საქართველოში შეეტანა შინაური არეულობა.

იჯდა ამ ხანებში კახეთს მეფედ ალექსანდრე მეორე, რომელმაც მიიღო რუსების ქვეშევრდომობა. და იყო მეფე ესე, რომელიც უფრო ზრუნავდა სანადირო ადგილებისთვის, ვიდრე სამეფოსთვის, და იტყოდა: ახ, როდის იქნება გამიოხრდეს კახეთი, რომ ბლომად გამიჩნდეს სანადირონი.

და შეუსრულდა მეფესა მას სურვილი იგი და გაოხრდა კახეთი მთლად და იქცა ქვეყანა იგი სადგურად მხეცთა და ნადირთა... ხოლო არა მოესწრო ალექსანდრე სანატრელსა მას სანახავსა...

ჰყავდა მეფე ალექსანდრეს სამი შვილი: დავით, გიორგი და კონსტანტინე. კონსტანტინე იყო გაზრდილი სპარსეთში აბაზის კარზედ და იყო გამაჰმადიანებული. დავით და გიორგი ჰყავდა შინა. დავით, რომელსაც ცოლად ჰყავდა ამათან მუხრან-ბატონის ქალი, სახელოვანი მოწამე ქრისტესი ქეთევან, მოკვდა. გიორგის მისცა ალექსანდრემ მეფობა, რომ მისსა და იმის შვილს შორის უსიამოვნობა არა მომხდარიყო-რა.

კახეთი იყო მაშინ მჭიდროდ დასახლებული და მორჭმული, ესე იგი შემკული ყოველის დიდებითა და ბედნიერებით. განიხარებდა და დასტკბებოდა კახეთი თავის ბედნიერს ქვეყანაში და არ ელოდნენ, რა ღრუბელიცა ზადგებოდა ამათს თავზედ.

როგორც ქართველები, ეგრეთვე შირვანი, რომელიც დევს კახთის მეზობლად, არ უდებდნენ ყეენს თავსა.

შაჰ-აბაზმა განიზრახა შირვანის მკვიდრად ხელში დაჭერა და კახეთის დაჭერაცა და მოუძლურებაც, იმან მისცა კონსტანტინეს, ალექსანდრე მეფის შვილს, შირვანი, მისცა ჯარები მის დასაჭერად, და უბრძანა, რომ მას უკან მოეკლა თავისი მამა ალექსანდრე, ძმა გიორგი და დაეჭირა კახეთიცა, იმ პირობით, რომ კახეთი უნდა ყოფილიყო სპარსეთის მონებაში.

კონსტანტინე მივიდა შირვანს სპარსთა ჯარებით, მოიშველია კახელობაც და დაიჭირა შირვანი.

აქედამ კონსტანტინე წამოვიდა ვითომც-და მამისა და ძმების სანახავად. ის მოვიდა კახეთს და თან მოიყვანა რვა ათასი მეომარი შირვანელი და სპარსთა ჯარები. მამა და ძმები მოეგებნენ დიდის სიხარულით. გაიმართა წვეულობა და ნადიმობა. მეფე ალექსანდრე ცალკე, მეფე გიორგი ცალკე უწევდნენ მასპინძლობას კონსტანტინეს.

ერთს დღესაც, სწორედ იმ დროს, როდესაც რუს ხელმწიფის ბორის გოდუნოვის მოციქულებიც იქ იყვნენ, რომელთაც მიიღეს მეფე ალექსანდრე და მეფე გიორგისაგან ფიცი რუსთა ქვეშევრდომობისა, მიიწვია კონსტანტინემ მამა თავისი მეფე ალექსანდრე და ძმა, მეფე გიორგი, თავისის დიდებულებით რაღაცა საქმეზედ მოსალაპარაკებლად. როდესაც დარჩნენ მარტოკანი, კონსტანტინემ უცებ მისცა თვის ჯარის კაცებსა და ჯალათებს ნიშანი, და შეიქნა უწყალოდ სისხლის ღვრა. ასტყდა გარეთ თოფის სროლა. შეიქნა ქუჩებშიაც მუსრვა ხალხისა. გამძვინვებული სპარსთა ჯარები ჰხოცდნენ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელებს. დაიწყეს სახლებისა და მთელის ქალაქის აკლება. კონსტანტინეს თვალწინვე დასჭრეს თავები იმის მამას მოხუცებულს ალექსანდრეს და ძმას გიორგის. იმათი თავები დაჰქონდათ ქუჩა-ქუჩა, შუბებზედ აგებული. დაჰხოცეს ყველა დიდებულნი სამღვდელო და ერის კაცნი. რუსის მოციქულების გაგზავნილმა კაცებმა ნახეს თავის თვალით, როგორის განწირულებით იდგა კონსტანტინეს წინ დაჩოქილი იმისი ძმისწული იასე და ეხვეწებოდა: ძია, შენი ჭირიმე, მე პატარა ვარ და ნუ მომკლავო. რუსის მოციქულებმა ჰნახეს ყველა ეს საშინელება და მოახსენეს დაწერილებით თავის ხელმწიფეს. მოახსენეს მიზეზიც, რადაც ექცეოდა ასრე შაჰ-აბაზი ქართველებს.

თთვის წინად მაინც, როცა დამტკიცდა, რომ მთელი კავკასია ტომისა და წოდების განურჩევლად ერთის გრძნობითა და აზრით არის გამსჭვალული და იმისს გულში არავითარს ღვარძლს ადგილი და ნიადაგი არა აქვს...

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალმა თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა და დღეობა მიულოცა მის უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს. ამ დეპეშაზე მისმა უმაღლესობამ შემდეგის დეპეშით უპასუხა ბ-ნს მარშალს:

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს.

„გულითად ვმადლობ ქართველს თავად-აზნაურობას და იმისს ღირსეულს წინამძღოლს გულ-წრფელის მოლოცვისათვის. ღრმად ვაფასებ ქართველის თავად-აზნაურობის ერთგულებას ხელმწიფისა და დიდის რუსეთისადმი, სიხარულით ვიხსენიებ ჩვენს მოგზაურობას ძველს საქართველოში.

ნიკოლოზ“

მოგვყავს ბ-ნის მარშლის დეპეშაც:

„პეტერბურგი. მის იმპერატორებითს უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს.

„ქართველთ თავად-აზნაურობა და მე მოგიძღვნით უერთგულესს მოლოცვას თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის დღეობის გამო. ჩვენ ღრმად და მტკიცედ გვრწამს, რომ თქვენი უმაღლესობა იმავე კეთილის გრძნობით ბრძანდებით გამსჭვალული ჩვენ მომართ, რომლითაც გამსჭვალულია თქვენი მშობელი, აწ კეთილად მმეფობი, და ღვთით განსვენებული მპყრობელნი წინაპარნი თქვენნი... ვევედრები უზენაესს, მრავალ ჟამიერ იყოს თქვენნი ძვირფასნი დღენი სასიხარულოდ თქვენთა უავგუსტოეს მშობელთა და მილიონთა ერთგულ ქვეშევრდომთა.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი, გენერალ-ლეიტენანტი თავად ბაგრატიონ-მუხრანსკი“.

⁂ 5 დეკემბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე კვლავ იყო ბაასი შესახებ ყოღლანოვის მილის წყლის შესყიდვისა. ერთის მხრივ ამტკიცებდნენ, რომ ქალაქისათვის არაფერი სახარბიელოა ამ საქმის შეძენა, რადგან მთელი შემოსავალი ყოღლანოვსაც ვერ გაისტუმრებს და ქალაქმა კიდევ თავისი ფული უნდა დააყაროსო. მეორეს მხრივ კვლავ ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი პირდაპირ მოგებაში იქნება, რადგან თავისი წყალი თითქმის არაფრად დაუჯდება და წელიწადში სამი ათას სამას თუმნის მუშტარს იშოვნისო; იქიდამ ყოღლანოვსაც გაისტუმრებს და წელიწადში ათას თუმანზე მეტი მოგებაც დაჰრჩებაო. გინდა მანამდის მოგებაც ვერა ვნახოთ, ცხრა წლის შემდეგ მაინც სულ ჩვენი იქნება ამოდენა მუშტარიო.

მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რომ ეგ მუშტარი მაინც ჩვენთან გადმოვლენო, იმიტომ-რომ მანამდე ყოღლანოვის მუშტარს ვადა გაუვა და იმისს წყალსაც აღარ აილებენ, რადგან ჩვენი წყალი გაცილებით უკეთესიო.

მომხრენი სყიდვისა ამბობენ, რომ მანამდე ყოღლანოვსაც შეუძლიან იშოვნოს ან ფული, ან ამხანაგობა შეადგინოს და გააუმჯობესოს თავისი წყალი, იაფადაც გაჰყიდოს და ქიშპობა გაუწიოს ქალაქს. სხვა მოგებაც რომ არა გვქონდეს-რა, ისიც დიდი სარგებლობა იქნება, რომ ცხრა წლის შემდეგ მაგდენი მუშტარი სულ ჩვენ მოგვცემს წყალის ფულსაო.

მთელი საღამო სულ ამ საგანს მოანდომეს. ბოლოს საბჭომ, კენჭის უმეტესობით, მიიღო შესყიდვის პროექტი და ეხლა საქმე უკანასკნელ მორიგებაზე-ღაა.

⁂ გუშინ-წინ, ექვსს ამ თვისას, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებამ“ მოიწვია საკმაო რიცხვი წევრებისა. საზოგადოებას მოხსენდა ანგარიში მმართველობის მოქმედებისა 1 იანვრიდგან 1 ენკენისთთვემდე. ანგარიში საზოგადოებამ დაამტკიცა შეუცვლელად.

⁂ გრ. ჩარკვიანის სტამბაში უკვე დაბეჭდილია კედლის ქართული კალენდარი. ტფილისში ამ გვარი კალენდარი პირველია (ამ რამდენისამე წლის წინად ქუთაისში, პ. წულუკიძის სტამბაში, დაიბეჭდა ამ გვარივე კალენდარი). კალენდარი რიგიანს ქაღალდზე და ლაზათიანად არის დაბეჭდილი და „კარდონზე“ დაკვრა-ღა ეჭირვება. გარდა ჩვეულებრივის საკალენდარო ცნობებისა, ამ კალენდარში მოხსენებულია სხვა-და-სხვა შესანიშნავი გარემოება კავკასიის შესახებ. ეს ცნობები ამოკრებილია და გადმოთარგმნილი ბუტკოვის წიგნიდგან: „**Матеріалы для исторіи Кавказа**“, ხოლო ადგილ-ადგილ თარგმანი ცოტად კოჭლობს.

⁂ წარსულს წლებში ტფილისის მოედნებზე მოჰქონდათ სოფლებიდამ გაზაფხულზე ყველი და შემოდგომაზე—ხილი. ყველიცა და ხილიც იაფად იყიდებოდა, რადგანაც თვით გამყიდველი-მწარმოებელი თითონ გამოდიოდა ბაზარში და ადგილობრივ მოვაჭრეთა და ჩარჩებს შუადღის 12 საათამდე აკრძალული ჰქონდათ სყიდვა. წელს-კი წინანდებურად არ შემოუტანიათ არც ყველი და არც რიგიანი ხილი. ამისი მიზეზი ყოფილან ისევ ჩარჩები და მეხილეები. რაკი ამ უკანასკნელთ ჰნახეს, რომ ბაზრის პოლიცია სასტიკად უკრძალავდა სოფლელებისაგან საქონლის სყიდვას, ამათ ირჩიეს წასვლა იქ, საიდგანაც ხილი და ყველი მოაქვსთ, იქვე სყიდვა, მოტანა და ერთი-ორად მეტ ფასად გაყიდვა. ამ ხერხის წინააღმდეგ საქალაქო სავაჭრო კანონი ულონო გამოდგა.

⁂ კვირაობით „იარმუკაზე“ გამოაქვსთ გასაყიდად საქონელი და აწყობენ საქალაქო ადგილზე. აქამდე ქალაქის გამგეობის აგენტები ამ ადგილების ქირას ახდევინებდნენ და ბარათებს აძლევდნენ. იანვრიდამ ბარათების მაგიერად «მარკები» იქნება შემოღებული და ამ ნაირად ვაჭრობა უფრო გაადვილდება.

⁂ **გორიდგან:** მამა ტერ-ელიშე ტერ-საკოვი, რომელმაც გორის ტუსალთათვის წიგნთ-საცავი გამართა, გვწერს: თელავიდგან არტემ გერასიმის ძის მარქაროვისაგან მივიღე ათი ცალი წიგნი ქართული და რუსული, რომელიც ბ.ნმა მარქაროვმა შემოსწირა ჩემ მიერ გამართულს გორის წიგნთ-საცავს. ამ გვარის კაცთ-მოყვარეობისათვის ვუძღვნი ბ-ნს მარქაროვს დიდს მადლობას. იმედი მაქვს, რომ სხვანიც მოგვიმართავენ ხელს და და თავისს წვლილს არ მოგვაკლებენ. აქვე უნდა დავუმატო, რომ ტუსაღნი დიდის სიამოვნებით და სასოებით კითხულობენ წმინდა სახარებას, ამ დღეებში შემოწირულს ინგლისის საზოგადოების მიერ, რომელსაც საგნად აქვს გაავრცელოს საღვთის-მეტყველო წიგნები.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის „ივერიის“ ორას ორმოც-და-მეექვსე ნომერში დაბეჭდილი იყო კორრესპონდენცია, გამოგზავნილი გორიდამ. ამ წერილში, სხვათა შორის, არის რამდენიმე სიტყვა ნათქვამი შესახებ იმ გარდაწყვეტილებათა, რომელნიც დაადგინა გორის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოთა კრებამ წარსულის თვის 17-ს. რადგან ეს სიტყვები, ცოტად თუ ბევრად, ჭეშმარიტებას არიან აცილებულნი და საქმეს ისე არ უხატვენ მკითხველს საზოგადოებას, როგორადაც ეს საქმე ნამდვილად მოხდა, ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ჭეშმარიტების აღსადგენად თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდოთ ეს ჩემი წერილიცა.

კორრესპონდენციის ავტორი უმთავრესად ეხება მოხსენებულ კრების გარდაწყვეტილებათა ორ მუხლს: სასულიერო სასწავლებლის ახალ შენობაში ეკკლესიის გამართვას და მოსამზადებელის კლასის მესამე განყოფილების გახსნას. ვილაპარაკოთ ჯერ პირველ საგანზედ. სასულიერო სასწავლებლის მმართველობამ სთხოვა სამღვდელოთა კრებას, რომ მას გაემართა ეკკლესია სასწავლებლის ახალ შენობაში. კრებამ ჯერ-ჯერობით სამჯობინოდ არ დაინახა ამ თხოვნის დაკმაყოფილება და უარი განაცხადა ეკკლესიის გამართვის შესახებ. ეს უარი კრებას მოუფიქრებლად როდი წარმოუთქვამს. სამღვდელოების აზრით, ამ ხანად ეკკლესია საჭირო არ არის სასწავლებლისათვის. პირველად იმიტომ, რომ ერთბაშად მთელის დიდის ტვირთის წამოკიდება სამძიმოა ჩვენის ღარიბის სამღვდელოებისათვის და ნაწილ-ნაწილად-კი ადვილად მოახერხებს იმის ზიდვას და, მეორედ, უმთავრესად, იმის გამო, რომ პანსიონი არ იმართება სას. სასწავლებლის მოწაფეთათვის. შიგ სკოლაში რომ სცხოვრებდნენ შეგირდები, მაშინ უსათუოდ საჭირო იყო ეკკლესიის გამართვაც, მაგრამ რაკი ეს ვერ მოახერხა მართველობამ, ამიტომ ვისათვის უნდა გაემართნა ეკკლესია? კარგად მოგეხსენებათ, რომ სასულიერო სასწავლებლის შეგირდები მომეტებულად გორის ზემო და შუა უბნებში სცხოვრებენ და არა იმ დიდ-პირველ ქუჩაზედ, რომელზედაც არის აშენებული სასწავლებლის ახალი სახლი. მოგეხსენებათ ისიც, რომ ამ სახლს განაპირა ადგილი უჭირავს. და აბა ვისთვის რა სასარგებლო იქმნება, რომ მცირე-წლოვანმა ყმაწვილებმა, რომელთა შორის ბავშვებიც ბევრნი არიან, ცივსა და ტალახიანს დღეებში იარონ ამ სიშორეზე. ის ეკკლესია-კი, რომელშიაც ეხლა იარებიან მოსწავლენი, არის შუა გორში და, მაშასადამე, უფრო საადვილო და სამჯობინოა მოსწავლეთათვის აქ სიარული. „ეხლანდელ ეკკლესიაში შეგირდები ვერ ეტევიანო“. უკაცრავად-კი გახლავართ და ეს მართალი არ არის! როდესაც გნებავთ მიბრძანდით ოქონის ეკკლესიაში და თქვენის თვალითა ჰნახავთ, რომ მოსწავლენი სრულები-

---

კონსტანტინემ მოსწყვიტა ყველა თავისი წინააღმდეგნი და დაიჭირა კახეთიც.

მაგრამ თავისუფლებას დაჩვეული ქიზიყი არ უდებდა თავს, მანამ კონსტანტინე არ მოინათლებოდა. ბოლოს მოისყიდა ქიზიყის თავადობა და დაიჭირა ქიზიყიც...

ერთხელაც, მოკლე ხანში მოხდა ისრე, რომ საჭირო იყო კონსტანტინესი შირვანში წასვლა. გასვლა იმისი კახეთიდამ და კახეთის აშლა ერთი იყო. კახეთის თავს დადგა ცოლი დავით მეფისა, გონიერი და შორსმხედველი დედოფალი ქეთევან. შემდგომ ქმრისა, მამამთილისა და მაზლის სიკვდილისა, კახეთის ბატონად ისა ჰრაცხავდა თავის ყრმა შვილს თეიმურაზს, რომელიც ამ ხანად იყო სპარსეთში შაჰ-აბაზთან.

კახელობა მოემხრო ქეთევანს. გამოჩენილი მხედართ-მთავარი ქაიხოსრო ომანიშვილი დადგა ქეთევანისკენ. კახელობამ შეჰფიცა ქეთევანს ერთგულობაზედ.

რა ნახა ეს კონსტანტინემ, მაშინ განიზრახა შერთვა ქეთევანისა, თავის რძლისა, რომ ამითი დაემშვიდებინა ქეთევანიც და მთელი კახეთიც. ამან გაუგზავნა ქეთევანს კაცები და სთხოვა ცოლად თავი. თუ არა-და, უთვლიდა საშინელს მუქარას.

ქრისტეს მოყვარემ და ქრისტეს სარწმუნოებაზედ მტკიცედ მდგარმა ქეთევანმა შეუთვალა უარი და გმობა ამ გვარის ნათესაობის დამარღვეველ შემოთვლილობისათვის. მუქარისთვის შეუთვალა მუქარა.

ყველა ეს ამბავი კონსტანტინემ აცნობა შაჰ-აბაზს.

შაჰმა მოსწერა სხვა-და-სხვა ხანებს, რომ მიეშველებინათ კონსტანტინესთვის ჯარები. თვითონ კონსტანტინეს შემოუთვალა: არა გრცხვენიან, რომ დედაკაცი გჯობნისო. წადი და ისიცა და მთელი კახეთიც ძალით დაიჭირეო.

კონსტანტინემ შეჰკრიბა შირვანისა და სხვა სახანო ჯარები, მოიყვანა თავისი მომხრე კახელობა და შემოესია დიდ-ძალის ჯარით კახეთს. კონსტანტინე დადგა ბაზარში.

ქეთევანმა შეჰყარა თავისი მომხრე კახელობა. სთხოვა ქართლის მეფე გიორგის შველა, რომელმაც გამოუგზავნა პაპუნა ამილახვარი ჯარებით.

ჯარი კონსტანტინესი იყო ბევრით მეტი ქეთევანის ჯარებზედ. ამის გამო საშიში იყო კონსტანტინე ამათთვის. რომ უფრო მხნეთ ყოფილიყვნენ კახელობა და გაუმარჯვებლივ არ გამობრუნებულიყვნენ, ყველა კაცთა თავად-აზნაურთა ცოლებმა, რძლებმა, დედებმა და ასულებმა გადასწყვიტეს შუა ჯარში დამდგარიყვნენ დედოფალთან ერთად ერთის დროშის ქვეშ. აქ დარჩენილიყო კახელებისთვის ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

ეს იყო საოცარი მაგალითი თავგანწირულებისა.

ეს კიდევ ცოტაა. კახელობა ამასაც არ დასჯერდა...

აქედამ იწყება ჩვენი გაცნობა დავით ასლანიშვილი—ჯანდიერისა.

ეს დავით ჯანდიერი, ანუ ასლანიშვილი, დავით ვაჩნაძე და ძმა იმისი თამაზ ვაჩნაძე, სამნივენი საიდუმლოდ შეითქვნენ, რომ ბრძოლის დროს უთუოდ იმდენი ეძებონ, ვიდრემ იპოვნიან კონსტანტინეს. მაშინდელს დროში ბრძოლაში კაცის ცნობა ძნელი იყო, რადგან ბევრს თავზედ ეხურა რკინის მუზარადი.

იმ ღამეს კონსტანტინემ, თათართა ჩვეულებისამებრ, აყრევინა რამლი, გაკითხვინა ვარსკვლავებზედ მესტროლაბეთა, და გამოჩნდა ცუდი ნიშნები.

კონსტანტინეს არ უნდოდა მეორე დღეს ომი. მესტროლაბეთა სიტყვა მძიმედ ჩასწვდა გულში. მაგრამ ის წაიცდინეს თავისმა მომხრე კახელობამ. იმათ უთხრეს, რომ ქართლის ჯარის მხედართ-მთავარი პაპუნა ამილახვარი შენი ნათესავია და შენს მხარს დაიჭერსო.

გაბრიყვდა კონსტანტინე. იმან დაიწყო რაზმი, თითონ პირველი მოუძღვა და მთლად დაწინაურდა, რომ ეცნობებინა თავი პაპუნა ამილახვრისათვის.

გააწყო რაზმები დედოფალმაც და დადგნენ მთელთა თავად-აზნაურთა ქალ-რძალნი დედოფალთან დროშის ქვეშ.

უცებ შუა ჯარიდამ გამოირჩა სამი დატყუპებული მეომარი და გასწიეს საშინელის სიფიცხით გულ-დაგულ კონსტანტინეს ჯარებისაკენ. ამათ მიჰყვნენ სხვა კახელებიც.

კონსტანტინემ თავისის მხლებლებით იკადრა უკან გამობრუნება, რომ შეჰფარებოდა თავის მხედრობას და მოესია თავისი რაზმები საომრად. მაგრამ ეს სამი გმირი-მხედარი მოსწვდა ამასა და შეიქმნა ბრძოლა. შეთქმულებმა დასცეს შუბი, გადმოაგდეს კონსტანტინე ცხენიდამ და განართხეს მიწაზედ.

კონსტანტინემ იცნო თავისი მკვლელები და დაუწყო ხვეწნა:

— ნუ მომკლავთ, დაგრჩომივართ!— შესძახა იმან ვედრებით:—თქვენს ხელთა ვარ, მთხოვეთ, რაც გინდათ, ოღონდ ნუ გამიმეტებთ სასიკვდილოდ!..

მაგრამ არც ასლანისშვილი, არც ვაჩნაძეები არ იყვნენ ისეთი კაცნი, რომ გაეშვათ ცოცხალი ის მამისა და ძმის მკვლელი, რომელიც ამასთანავე სამშობლო ქვეყანას ხდიდა მონად სპარსეთის შაჰისა.

იმათ მოჰკვეთეს თავი კონსტანტინეს და მოართვეს ქეთევან დედოფალს.

კონსტანტინეს სიკვდილმა მოუღო ბოლო კონსტანტინეს ჯარებსაც. იმათ ჰნახეს თუ არა კონსტანტინეს მოკვლა, დაიძრნენ ზარდაცემულნი და გარბოდნენ ვინ ვის გაასწრებდა. ჯარი ქეთევან დედოფლისა დაერია იმათ და სდიეს სულ შირვანამდის.

ქეთევან დაბრუნდა გამარჯვებული და დაიჭირა მთელი კახეთი.

ქეთევანმა გაგზავნა სპარსეთს კაცნი და მოაყვანინა თავისი შვილი თეიმურაზ, რომელსაც ჩააბარა თავისი სამეფო.

დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი შეიქმნა სამეფოში ერთი პირველ კაცთაგანი.

II

გამოხდა ხანი. შაჰ-აბაზმა იმარჯვა დრო და შემოესია კახეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც არ არიან შევიწროებულნი და მთელი ევებერთელა აივანი ეკკლესიისა მხოლოდ იმათა აქვსთ დასაკუთრებული.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომ ერთი-ორის წლის შემდეგ ეხლანდელ მოსწავლეთა რიცხვმა 250 (ნამდვილად 223 მოსწავლეა და საკვირველია, რად უნებებია კორრესპონდენტს 27 შეგირდის მიმატება) შეიძლება სამასსაც გადააჭარბოსო, ამაზედ იმას მოგახსენებთ, რომ ოქონის ეკკლესია მაინც კიდევ დაიტევს ამ რიცხვსაცა. მაშინ ზოგი აივანზედ იდგება და ზოგიც ძირს, როგორც ეხლა. ამათი, კარგად მოგეხსენებათ, შეგირდებს არაფერი არა დაუშავდებათ-რა. შემდეგ ბრძანებს კორრესპონდენტი, რომ საკუთარს ეკკლესიაში მოსწავლენი საეკკლესიო წიგნების კითხვასა და გალობას, წირვა-ლოცვის წესებსა და რიგს შეისწავლიანო.

ვგონებ მკითხველი უჩემოდაც ცხადად ჰხედავს ამ მოსაზრების სრულს უსაფუძვლობას... თუ ერთს ეკკლესიაში შეიძლება მოხსენებულ საგნების შესწავლა, რა არის მიზეზი, რომ მეორე ეკკლესიაში-კი ეგ შეუძლებელი იყოს? ეკკლესიის მღვდელი, ან მთავრობა რომ უშლიდეს, მაშინ, რასაკვირველია, სხვა იქნება. მაგრამ რომ ამ გვარი არაფერია?.. ოქონის მღვდელი არა თუ არ დაუშლის, არამედ დიდად მოხარული იქმნება, რომ ადგილობრივმა მთავრობამ სასწავლებლებისამ მიალებინოს ხოლმე თავისს შეგირდებს ყოველ წირვა-ლოცვის აღსრულებაში მონაწილეობა. მაშ რატომ არა ვარჯიშობენ დღეს მოსწავლენი ამ ფრიად სასარგებლო საქმეში? ვისი ბრალია ესა: ოქონის მღვდლისა, თუ შეგირდების მეუფროსეთა?..

ბოლოს კორრესპონდენტი ბრძანებს, რომ გორელმა მღვდლებმა არ მოინდომეს ახალს შენობაში ეკკლესიის გახსნა იმიტომ, რომ მრევლი და ამასთან შემოსავალი მოაკლდებოდათო. ამ სიტყვების დამწერი ან უნდა მეტის-მეტი უსამართლო კაცი იყოს, ან სრულიად უცნობი იმ საგნისა, რომელზედაც ლაპარაკობს. ერთიცა და მეორეც განათლებულს ადამიანს არ შეჰფერის. ყველასათვის, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მცირე-წლოვან შეგირდებისაგან არავინ არ უნდა მოელოდეს რაიმე შემოსავალს! თითონ რა აქვსთ, რომ ეკკლესიასა და მღვდელს რა უნდა შეჰმატონ? რაც შეეხება მასწავლებელთ, აბა თუ კაცი ხართ და ერთს, მხოლოდ ერთს იმისთანა მაგალითს დაასახელებთ, რომ თქვენს აზრს ამტკიცებდეს? ამ ნაირად, რა მხრითაც უნდა შევხედოთ ამ საგანს, კორრესპონდენტის მოსაზრება უსაფუძვლოდ გამოჩნდება, თუ-კი ამ შეხედულობას რაიმე ვიწრო ინტერესს არ წაუმძღვარებთ წინ.

მაშ რა არის ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, რომ მართველობა სასწავლებლისა ასეთის თავ-გამოდებით თხოულობს ეხლავე ეკკლესიის გამართვას სასწავლებლის ახალს შენობაში? სწორე მოგახსენოთ, ვერ მივმხვდარვარ ამ გარემოებას. ბოროტი ენები-კი იძახიან, რომ ეკკლესიის გამართვას მართველობა თხოულობს იმიტომ, რომ ბ-ნთ ზედამხედველსა და იმისს თანაშემწეს წირვა-ლოცვის დროს შორს წასვლა აღარ მოუნდეთ ხოლმეო, რადგან ტალახიანსა და ცივს დღეებში გორის ქუჩებში სიარული არავისთვის არ არის სასიამოვნოო. თუ ეს მართალია, სწორეთ რომ მისალოცი ყოფილა საბრალო ჩვენი სამღვდელოება, რომ ამისთანა თავ-დადებულ აღმზრდელ-განმანათლებელ მეურვეებს ჩავარდნიათ ხელში იმათის შვილების აწმყო და მომავალი ბედ-იღბალი!!

მეორე საგანი, რომელზედაც კორრესპონდენტი ლაპარაკობს, არის კრების გარდაწყვეტილება შესახებ მოსამზადებელ კლასის მესამე განყოფილების გახსნისა. მართველობა სთხოვდა სამღვდელოებას, რომ ჯამაგირი დაენიშნა ხსენებულ განყოფილების მასწავლებლისათვის. კრებამ დაადგინა: სასულიერო წოდების ობოლი და ღარიბი შეგირდები ამ კლასისა განთავისუფლებულ იქმნენ სასწავლებლის ფულის გადახდისაგან, ხოლო დანარჩენთ გამოერთვათ სწავლის ფული და ამ ფულიდგან ეძლიოს მასწავლებელს ჯამაგირი; უკეთუ სწავლის ფული ვერ აუვიდა ამ მოთხოვნილებას, მაშინ დანარჩენს თვით მღვდლები შეავსებენო. აი ნამდვილი აზრი კრებას გარდაწყვეტილებისა. რა არის აქ, თუ ღმერთი გწამთ, საძრახისი? ეჭვი არ არის, რომ კორრესპონდენტს სრულიად არა სცოდნია ეს გარდაწყვეტილება და ამის გამო ვაიძახის: „რას ეუბნებით სამღვდელოთა ობლებს, რომელნიც არა მცირე რიცხვს შეადგენენ სწავლის მსურველთა შორის? საიდამ მოგცენ ერთი თუმანი? მაშ ამათ უნდა მოესპოთ სწავლის სახსარი? უნდა შეუკრათ გზა სწავლისა?" წაიკითხეთ, ჩვენო ობოლთა მფარველო, ზემოდ მოყვანილი დადგენილება სამღვდელოების კრებისა და მაშინ, ვგონებ, ცხადი იქმნება თქვენთვის პასუხი ამ თქვენის გაჭიანურებულისა და უსაფუძვლო საკითხავებისა...

საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთი კაცი!.. უნდა თავისი სიტყვა მთელს ქვეყანას წარუდგინოს და იმოდენა თავის-მოყვარეობა-კი არა აქვს, რომ საფუძვლიანად გამოიკვლიოს საგანი ამ სიტყვისა და მერე ისე წარმოსთქვას ის, რათა არ შერცხვეს საზოგადოების წინაშე. რა დიდი შრომა იმას უნდოდა, რომ მისულიყო კორრესპონდენტი სასწავლებელში მღვდლებთან და ეთხოვნა კრების გარდაწყვეტილებათა შეტყობა.

რაც შეეხება იმ „კუჭის საქმეს", რომელიც, კორრესპონდენტის სიტყვით, სამღვდელოებას წინ წაუმძღვარებია თავისის მოქმედების დროს, ვგონებ მკითხველი ცხადად ჰხედავს, რომ აქ არავითარი ადგილი არა ჰქონია არც „კუჭსა" და არც ჯიბეს!.. მიკვირს, კორრესპონდენტმა როგორ აკადრა ამისთანა შეურაცხყება იმ წოდებას, რომელიც არა თუ „კუჭს", ბევრჯელ სიცოცხლესაც-კი არ ჰზოგავს თავისის შვილების აღზრდა-განათლებისათვის. უმრავლესობა ჩვენის მღვდლებისა წელ-ზედ ფეხს იდგამს, ითმენს ათას ნაირს სილარიბეს, რომ შვილები გაუნათლებელნი არ დაურჩნენ, და ჩვენი კორრესპონდენტი-კი ასე უსამართლოდ ამცირებს! ან-კი რაში უნდა გამოჩენილიყო ეს „კუჭის საქმე"? ვსთქვათ, რომელიმე ჩვენგანი რომ წამდგარიყო კრების წინაშე რაიმე შემწეობის სათხოვნელად და ამ თხოვნაზედ საფუძვლიანი უარი მიეღო; ჩვენც რომ ამდგარვიყავით მაშინ და გველანძღა სამღვდელოება კრებისა, აი ეს იქნებოდა სწორედ „კუჭის საქმე"! თუ ჩემი არ გითხრა, გული რითი დავწვაო, ამბობს ქართული ანდაზა. ვისაც ასხმიან ყურნი სმენად, ისმინან...

ერთი მღვდელთაგანი

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისში გარდაცვლილა მისტერი ო'რეილიი და მთელი თავისი ქონება მილიონ-ნახევარი მანეთი შეუწირავს ხაზინისათვის. საკვირველი ის არის, რომ ამ კაცს ხაზინისათვის ასე გული სტკივებია და თავისი დისწულები-კი სრულიად უმოწყალოდ დაუტოვებია.

— გაზ. „Standard"-სა სწერს ერთი თავისი კორრესპონდენტი: შუა-გულ აზიის საქმე ადრე თუ მალე სპარსეთში გადავა და სპარსეთის საქმედ გადაიქცევა. იგი საქმე სწორედ სპარსეთში გადასწყდება მოკამათეთა შორის ან მორიგებით და ან იარაღით ხელში. სპარსეთის ბედზეა დამოკიდებული მშვიდობა ევროპაში. ზოგიერთებს ჰგონიათ კიდეც, რომ ატყდება თუ არა საქმე სპარსეთში, მაშინვე ომს დაიწყებენ საფრანგეთი და გერმანიაო.

იტალია. იტალიის პირველ-მინისტრს კრისპის უთქვამს, რომ ომი, თუ მშვიდობიანობა იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩაივლის საზოგადო არჩევანები საფრანგეთშიო. აი ამისთანა დროსთვის უნდა ემზადებოდეს იტალია რაც ძალი და ღონე აქვს და ემზადება კიდეც. ტურინის ქარხნებს 400,000 თოფი აქვსთ შეკვეთილი. ნეაპოლის ჯაბახანაში განუწყვეტლივ მუშაობენ დღეცა და ღამეცაო.

— ამავე დროს კრისპის გაზეთი „Riforma" ამბობს, რომ, ვინც უნდა იყოს რომში რუსეთის წარმომადგენლად, ყველას ჩვენი მთავრობა ისე დაუწყებს ცქერას, როგორც თანაშემწეს მშვიდობის დამყარებისასაო.

ავსტრი-ვენგრია. მოგვყავს ჩინებული სიტყვა გრეგრისაცა, დიდის მჭევრმეტყველებითა და მახვილ-გონიერებით წარმოთქმული პლენერისა და რიგერის სიტყვათა შემდეგ ავსტრიის რეიხსრატის კრებაზე სამხედრო კანონ-პროექტის გამო: «ჩვენც, მლადო-ჩეხებიო,—სთქვა ორატორმა:—მემარცხენეთა მსგავსად, თეთრს კენჭს მივცემთ ახალს კანონ-პროექტს, მაგრამ ასეთის საქციელის საბუთად-კი სხვა მოსაზრება გვაქვს და არა ის, რომელიც პლენერმა დაასახელა. პლენერის სიტყვიდამ ცხადად სჩანს, რომ მემარცხენენი თანაუგრძნობენ კანონ-პროექტს ავსტრიისა და გერმანიის მეგობრობისათვის, უფრო კალნოკის გულისათვის, ვიდრე ტააფეს გულის მოსაგებად. აბა ტააფე რად ეპრიანებათ მემარცხენეთ, როდესაც იმისი პოლიტიკა ავსტრიის სლავიანებს თანაუგრძნობს. პლენერი რომ ლაპარაკობდა, მე მეგონა რომ ჩვენს მხედრობას უკვე წინ პრუსიელი მხედართმთავარი მიუძღვის-მეთქი (მემარცხენენი იცინიან). მართალია, ჯერ აქამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ისიც-კი საყურადღებოა, რომ ეს ვაჟბატონები თეთრში ჩაუგდებენ კანონ-პროექტს უფრო გერმანიის გამო, ვიდრე ავსტრიის გულისათვის (მემარცხენენი კვლავ იცინიან). ფელდმარშალმა რადეცკიმ სთქვა ერთხელ: „შვეციასა და ნორვეგიას გარდა, ევროპაში ქვეყანა არ არის და გერმანიაში ხომ ფეხის დადგმის ალაგსაც ვერ იპოვით, სადაც ავსტრიის ჯარებს სისხლი არ დაექციოთ გერმანიის დიდებისა და სახელისათვისაო". ერცჰერცოგის კარლოსის ძეგლზედაც-კი სწერია ესევე. იმ

თეიმურაზმა მისცა შაჰ-აბაზს ხელში თავისი დედა ქეთევან, ორად-ორი შვილი: ლევან და ალექსანდრე, და თითონ თავისის დიდებულებით გავარდა ქართლში და ქართლიდამ იმერეთში.

ასლანიშვილი ანუ დავით ჯანდიერი დარჩა აქა. ის არ უპირებდა აბაზის კახეთში შემოშვებას. ის ამაგრებდა სანგლებს და უპირებდა უკანასკნელის წვეთის სისხლამდის ბრძოლას. მაგრამ, როდესაც ჰნახა, რომ გავარდა მეფე, გაჰყვნენ თან უკეთესნი დიდებულნი და მომეტებული ნაწილი შეკრებილის ჯარისა, ის მცირე ბრძოლის უკან იძულებულ იყო გასცლოდა სპარსთა. შემდეგ, როდესაც დიდი-მოურავის საკაძის მეცადინეობით შაჰმა აღარ ინდომა წახდენა კახეთისა და იწყო ხალხისა ლმობიერად მოპყრობა, ასლანის-შვილმაც დაუკრა თავი ყეენს. ეს თავის დაკვრა უფრო იმისი იყო, რომ დაეთათბირებინა ყეენი, ვიდრემ მართალის გულით მოეხარა იმის წინ თავი. შაჰ-აბაზზედ ამისმა ვაჟკაცობამ, დიდებულმა სანახაობამ, მაღალმა გონებამ და ნამდვილმა კეთილ შობილურმა შეხედულობამ და სახისმეტყველებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველაზედ მეტად ეს დაიახლოვა შაჰმა.

შაჰმა მისცა კახეთი გიორგი მეფისშვილს იასეს, რომელიც, შემდგომ კონსტანტინესაგან ამის მამის მოკვლისა, იყო სულ სპარსეთში და მიიღო მაჰმადიანობა. იასეს სახლთ-უხუცესობა შაჰმა მისცა ასლანიშვილს და იასეცა და კახეთიც ჩააბარა ამასა და ნოდარ ჯორჯაძეს.

გავიდა შაჰი კახეთიდამ.

იასე იყო სულითა და გულით სპარსი და ყორნის მთაყვანებელი. ყოველივე ქართული მიაჩნდა საზიზღრად.

პატიოსნებითა და ქვეყნის სიყვარულით აღსავსე გული ასლანიშვილისა ვერ ინელებდა იმას, რომ ამისი საყვარელი სამშობლო, ქვეყნიერი სამოთხე, კახეთი გამხდარიყო ვისიმე მონა, დაეკარგა თავისი ეროვნება, თავისი თავისუფლება.

გავიდა თუ არა შაჰი და ჰნახა ასლანიშვილმა რაც გამოვიდოდა იასე მეფისაგან, ის შეუდგა კახეთის განსათავისუფლებლად მზადებას.

იასე მეფის დასაცველად, გასაძლიერებლად და კახეთის მკვიდრად ხელში დასაჭერად; ამასთან რომ თეიმურაზ ველარ შემოვიდეს თავისს სამეფოშიაო, შაჰ-აბაზმა გამართა ალავერდის ტაძრის გარშემო დიდი ციხე-გალავანი და ჩააყენა შიგ მეციხოვნე სპარსელები. ეგრეთვე დააყენა ჯარი კახეთში, გრემში, ზეგანში და სხვაგან და ყველა სპარსთა ჯარები ჩააბარა ბეგთაშ-ბეგს, რომელიც იდგა ზეგანში. ასლანიშვილმა დიდად საიდუმლოდ გაგზავნა მთაში კაცები და გაამზადებინა მთაში მზა ჯარი ათი-ათასი კაცი. მისწერა თეიმურაზს, რომ მზათა ყოფილიყო წამოსასვლელად. თეიმურაზ დაიმედეს ოსმალთაც და ისიც ემზადებოდა კახეთში შემოსასვლელად.

დადგა 14 ენკენისთვე, დიდი ქართველების დღესასწაული ალავერდისა.

შეიყარა დიდი ხალხი. შეიარაღებული თუში, ფშავი და ხევსური მოდიოდა აუარებელი.

აირივნენ სპარსნი და ქართველები ერთმანეთში. სპარსნი ცხადლივ დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ ქართველთა სალოცავს. ქართველნი და მეტადრე ამაყი მთის ხალხნი ვერ ითმენდნენ და ბრაზით უყურებდნენ აქ მყოფს სპარსელებს.

ასლანიშვილის, და თამაზ ვაჩნაძის კაცები დაძვრებოდნენ ხალხში და ასინებდნენ ქართველებს სპარსელებზედ. ეს იყო მარჯვე დრო. დიდ-ძალი იარაღიანი ქართველობა იყო აქ შეყრილი, სპარსნი შესაჭმელადაც არ ეყოფოდნენ ამათ. ხალხი იყო ამრეზილი. იმას საკუთარი ქრისტიანე მეფე ჰყავდა განდევნილი, დედა და შვილები იმისი ჰყავდა ურჯულო შაჰს დატყვევებული, აქ ბატონობდნენ სპარსნი და დასცინოდნენ კიდეც ამათს ხატს, ამათს სალოცავებს.

შეთქმულობის შესასრულებლად უკეთეს ალაგსა და დროს ვერ იპოვნიდნენ.

ასლანიშვილი მხოლოდ ეცადა, რომ ეხლა ამ დღეობაში მოსულიყო კვლავინდელზე მეტი შეიარაღებული ვაჟკაცი ხალხი...

ერთი უბრალო მიზეზი ორთავე ამრეზილ მხარისათვის და შეიქნა უცებ ცემა და ჩხუბი სპარსთა და ქართველებს შორის.

დაიჭრა რამდენიმე ქართველი.

უცებ გაისმა ხმა ასლანიშვილისა:

— მუსრი ამ ურჯულოთა!

და გავარდა თოფი, იელვა ხმალმა! შეიქნა საშინელი სისხლის ღვრა. თითონ დავით ასლანიშვილი, თამაზ ვაჩნაძე და მათთან ერთად შეთქმულები გაუძღვნენ განრისხებულს ქართველობას. რამდენისამე საათის განმავლობაში აღარც ერთი სპარსელი არ გადაურჩა ქართველების მრისხანებას.

ასლანიშვილმა მაშინვე აფრინა კაცი თეიმურაზთან იმერეთში და გადმოაყვანინა

შეიქმნა მთელს კახეთში მოძრაობა და ჟლეტა სპარსთა.

აქედამ შესძახა ასლანიშვილმა მთის ხალხს, მთელს კახეთს და შეაგროვა ოც-და-ორი ათასამდის კაცი. გადმოვიდა თეიმურაზ და იმას ეს ამოდენა ჯარი და სამეფო დახვდა მზად.

ჩააბარა თეიმურაზს სამეფო და ასლანიშვილი გადუხტა გრემს სპარსთა, სადაც მოიკლა მეფე იასეც და შემუსრა მთლად სპარსნიც. აქედამ მიუხტა ზეგამს ბეგთაშ ბეგს. შეიპყრა ისიცა, იმისი ხანებიც და მთლად ჯარებიც და აღარც ერთი აღარ გაუშვა ცოცხალი.

რამდენისამე დღის განმავლობაში მთელი კახეთი გასწმინდა ასლანიშვილმა სპარსთაგან.

თეიმურაზ არ დასჯერდა ამ გამარჯვებებს. იმან დაიწყო სპარსელებზედ მძვინვარება. შეუხტა სპარსეთს და უწყო ოხრება. გაწყვიტა სპარსთა ვაჭრები მთლად და დაისაკუთრა იმათი ქონება.

ანტონ ფურცელაძე

(დასასრული იქნება)

ძეგლზე ყველას შეუძლიან წაიკითხოს: გერმანიის დიდებისათვის დაუღალავს მებრძოლსაო. (მემარცხენეთა შორის ტაშის-ცემაა, ისმის ძახილი: ავსტრია მაშინ ხომ გერმანელთა სახელმწიფო იყო!) კარგი იქნებოდა, რომ გვცოდნოდა, რაოდენი სისხლი დაიქცა ყველა ამ ომებში გერმანიის დიდებისათვის ჩეხელებისა, პოლშელებისა და იტალიელებისა. (ვატეტიჩი: ხორვატელებისა?!) ეხლა დრონი იცვალნენ. გერმანიის სახელი და დიდება დღეს ჰამბურგების სახელთან-კი არა, ჰოგენცოლერნების სახელთან არის დაკავშირებული და ამიტომ საჭიროა ავსტრიის სლავიანებმა ივარაუდონ, მოვალენი არიან, თუ არა კვლავ ანთხიონ სისხლი გერმანიისა და ჰოგენცოლერნების დიდებისა და სახელისათვის. ან რა სარგებლობა მოგვიტანა დღემდე ავსტრიისა და გერმანიის კავშირმა, ამხანაგობამ? (მემარცხენენი იძახიან: მშვიდობაო!) მშვიდობა. მერე ვინ დაამტკიცა, რომ ეგ კავშირი რომ არა ყოფილიყო, მტერი შემოგვესეოდა უთუოდ (მემარცხენენი იცინიან). მაგას გარდა, რა სარგებლობა გვაქვს იმ მშვიდობისაგან, რომელიც უფრო მეტად ალარიბებს ერს, ვიდრე გაალარიბებდა ომი და თვით უსაშინელესი სისხლის ღვრა?! უანგარიშო და უზომო შეთოფ-იარაღება ეხლანდელის ვითომ-და დამშვიდებულის დროსი უეჭველია გაალატაკებს და გააკოტრებს სახელმწიფოებსა და ქვეყნებს. ჩვენ თეთრს კენჭს ვაძლევთ კანონ-პროექტს, ხოლო იმიტომ-კი არა, რომ სასარგებლო იყოს ავსტრი-გერმანიის კავშირისათვის, არამედ ავსტრი-ვენგრიისათვის. ჩვენ შეგვიწყნარებია ახალი კანონი მხოლოდ ავსტრიის იმპერატორის პატივ-საცემლად (სტარო ჩეხებს შორის ისმის ძახილი «ბრავოსი»). და თუ ამას ვამბობ, ვამბობ იმ სრულიად გარკვეულის აზრით, რომ ავსტრიის იმპერატორი იმავე დროს მეფეა ჩეხიისა და, როგორც მეფე ჩეხიისა, მოვალეა დაიცვას ყოველთვის და მუდამ ჟამს უფლებანი ჩეხიის სამეფოსი და მისის ერისა. ჩვენ შეგვიწყნარებია ეგ ახალი კანონი სახელმწიფოსათვის და სრულიად სახეში არა გვყავს დღევანდელი მთავრობა. ამიტომ არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ, რაკი ვათეთრებთ კანონს, ვითომ მთავრობას ვენდობით და ვერწმუნებით. არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ, რაკი თეთრს კენჭებს ვაძლევთ კანონს, სახეში გვაქვს ავსტრიისა და გერმანიის კავშირი. სრულიადაც არა. კავშირი სახელმწიფოთა შორის საუკუნოდ ხომ არ გასტანს. ავსტრი-გერმანიის კავშირიც არ არის ისეთი, რომ არას დროს აღარ მოისპოს. რაკი შესაძლოა, რომ ავსტრი-გერმანიის კავშირი მტრობად გადაიქცეს, ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ ავსტრიას დიდი ჯარი და მხედრობა ჰყვანდეს, დიდად ძლიერი და გულადი, თუ შეიძლება, ცხრაჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენს მოწინააღმდეგესა და მტერს ეყოლება. (ყური დაუგდეთ, ყური დაუგდეთ!) იქნება მითხრან, რომ შენ გძულება პრუსიაო. დიაღ, ჩეხიის ერს პრუსია არას დროს არა ჰყვარებია და მგონია, რომ სხვა მეზობლებსაც არ დაჰმჟავებიათ მისი სიყვარული. ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ პრუსიის მძულვარება მალაპარაკებს, არამედ იმიტომ, რომ ჩემმა სამშობლოს ისტორიამ მასწავლა, იმ ისტორიამ, რომელიც მოგვითხრობს, რომ პრუსიამ ათასჯერ გამოიწვდინა ხელი იმის ან დასაპყრობად და ან დასანაწილებლად. მე მგონია, რომ პრუსიას დღესაც არ მოსპობია მადა ჩვენის გადაყლაპვისა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, 1866 წლის ომიცა. (მლადო-ჩეხები: მართალია, მართალია!) მოიგონეთ პრუსიელების პროკლამაცია: „დიდებულსა და სახელოვანს ჩეხიის სამეფოსაო!“ მართალია, ავსტრიაშიაც ვარდი არ გვიფენია ფეხ-ქვეშ, მაგრამ პრუსიელების ბატონობისაგან-კი მაინც ღმერთმა დაგვიხსნას და დაგვიფაროს (სიცილი მემარცხენეთა შორის). ავსტრია ძლიერი უნდა იყოს, რათა შეიძლოს თვითვე უარ-ჰყოს კავშირი ისე, რომ აღარ შეეშინდეს, ძალა-კი არ დაგვატანონ და არ გვაიძულონ მეგობრად ყოფნაო. ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ ვითომ ალტაცებაში ვიყო ავსტრიისაგან, ან თავს ვაწონებდე, დახეთ რა ერთგული მოყმე და ქვეშევრდომი ვარ-მეთქი. მე ესეები არ მიყვარს. ხოლო რაიცა შეეხება ავსტრიას, იგი აქამომდე არც ერთხელ არ მოქცეულა ისე, რომ დაემსახურებინა ერთგული ქვეშევრდომობა და სიყვარული ჩეხიის ერისა. იყო დრო, როცა ავსტრიის სახელმწიფო პროგრამაში ეწერა: გავანადგუროთ ჩეხიის ერიო, მაგრამ ვინ არ იცის, რა ძლიერ ბურჯად შეიძლებოდა გადაქცეულიყო ავსტრიისათვის ჩეხია გერმანიის გაუმაძღრობის საწინააღმდეგოდ? ავსტრია დღესაც თავს არ ანებებს ამ საცოდავს პოლიტიკას. დღევანდელს კანონ-პროექტშიაც-კია ისეთი მუხლნი, რომელთაც აზრად აქვთ ჩეხიის გაგერმანელება. ხოლო თუ თეთრს კენჭს ვაძლევთ ამ კანონს, —არა იმიტომ-რომ მადლობელნი ვართ ავსტრიისა. ჩვენ რომ ყური დაგვეგდო სიმწარით ავსებულის გულისათვის, ან გვდომებოდა სახელის მოხვეჭა, უნდა გაგვეშავებინა ეგ კანონი. მაგრამ არ ვაშავებთ მხოლოდ იმ იმედით, რომ ავსტრია იგრძნობს ბოლოსა და ბოლოს მაინც, რომ იმისი ძლიერება, მთელი იმისი მერმისი მისთა ერთა ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ იგი ერნი მხოლოდ მაშინ გაძლიერდებიან, როცა მადლიერნი იქნებიან და კმაყოფილნი თავიანთის ბედისა. ხოლო ამისათვის საჭიროა შეწყნარება და პატივისცემა იმათის საპოლიტიკო და საეროვნო უფლებათა (ისმის ხანგრძლივი „ბრავოს“ ძახილი მლადოჩეხთა შორის).

◆◆

გასართობი

ჩვენ ამას წინად გასართობში გვქონდა ნათქვამი, რომ ქალებს მარაოთი ლაპარაკი მოუგონიათ და კაცებს ესაუბრებიან, ან სიყვარულს უცხადებენ, არ შერისხავენ ხოლმეო. ეხლა კიდევ ამერიკაში ახალის საშუალებისათვის მიუგნიათ საიდუმლოდ გამოსაბაასებლად და გამოსალაპარაკებლად. ეს საშუალება ხელსახოცის წესიერად ხმარებაა. აი ზოგიერთი მაგალითი, თუ როგორ ლაპარაკობენ ხელსახოცის საშუალებით და ენის გაუნძრევლივ როგორ აგებინებენ თავისს აზრს ერთმანეთს:

ტუჩებთან ხელსახოცის მიტანა ჰნიშნავს, რომ შენი გაცნობა მინდაო.

ხელზედ დადება—მაგასაც გაბედულობა უნდაო.

ძირს დაშვება—მომწონხარო.

ნიკაპზედ მოსმა—მიყვარხარო.

ორის ხელით გაშლა—მძულხარო.

მარჯვენა ლოყაზედ მიდება—ნაზს „ჰო“-ს.

მარცხენა ლოყაზედ — გარდაწყვეტილს „არა“-ს.

მარჯვენა მაჯაზედ შემოხვევა—მე სხვა მიყვარსო.

მარცხენა ხელზედ—თავი დამანებეთო.

ხელსახოცის დაჭმუჭვნა—თქვენთან მოლაპარაკება მინდა გულითაო.

მხარზედ გადაგდება—უკან გამომყევითო.

ორის წვერიდგან დაჭერა—მელოდეთო.

შუბლზე შემოკვრა გაკვირვებას ჰნიშნავს.

მარჯვენა ყურთან მიტანა—სამუდამოდ ვერ მოგენდობათ ადამიანო.

მარცხენა ყურთან—მე თქვენთან სათხოვარი მაქვსო.

თვალთან მიტანა—სასტიკად მეპყრობითო.

საჩვენებელ თითზედ დახვევა—დანიშნული ვარო.

იმ თითზედ შემოხვევა, რომელზედაც ბეჭედს იკეთებენ, ჰნიშნავს, რომ ქმარი მყავსო.

ამის გაგონებაზედ გონიერმა ყმაწვილმა კაცმა, ჩვენის აზრით, თავისი ხელსახოცი უნდა ამოიღოს ჯიბიდგან და ფეხთა წინაშე დაუგდოს, ხოლო ქმრიანმა ქალმა აიღოს, დაჭმუჭნოს, ჩაიდოს პირში და გადაყლაპოს იმის ნიშნად, რომ მომცილდი თავიდგან და კისერიმც ქვეშ მოგიყოლებიაო.

⁂

ურწმუნო თომას ფიქრები:

ნუ გჯერა, რომ ისეთი ცხელი და მზიანი ქვეყანა იყოს სადმე, სადაც გულ-ცივად არ ეპყრობოდნენ ერთმანეთს ადამიანნი.

ნუ გწამს, რომ ქვეყნად არსებობდეს ისეთი ბრძენი, რომელსაც თავისს სიცოცხლეში ერთხელ მაინც სისულელე არ ჩაედინოს.

ნურა გწამს-რა იმ ვექილისა, რომელიც შენთვის სასამართლოში იჭაჭება და ერთი ვაი-ვაგლახი აქვს.

ნუ დაიჯერებ გაზეთის ამბავს, თუ გინდ შენვე მიგეტანოს რედაქციაში.

ნუ გჯერა შენივე სიტყვები, თუ საცოლეს ეფიცები, რომ საუკუნოდ მეყვარებიო.

◆◆

დეპეშა

5 დეკემბერი

პეტერბურგი. გარდაიცვალა მოთათბირე გარეშე საქმეთა სამინისტროსი ჟომინი.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ზოგიერთი ცვლილება იქმნა შემოღებული 1884 წელს გამოცხადებულს ფასებში; ამ ცვლილებათა ძალით კუპონები ოქროთი ნასესხის ფულისა და ტირაჟში გამოსული ბილეთები და ობლიგაციები მიიღება ოქროს ფულის სამაგიეროდ დამოქნების მიერ. ეს ცვლილებანი გამოცხადებულია „კანონთა კრებულში“ 3 დეკემბერს და „ფინანსთა მოამბეში“.

„Новое Время“ ამბობს, რომ შაბათს მთავრობის კომისიამ რიბინოვ-ბოლოგოვის რკინის გზაზე სცადა 274 ვერსზე ტელეფონით ელაპარაკნა ტელეგრაფის მავთულის შემწეობით, თუმცა იმავე დროს იმავ მავთულებით დეპეშაც იყო გაგზავნილი, და ცდამ კარგად ჩაიარაო.

6 დეკემბერი

პეტერბურგი. პროფესორი ინჟინერთა აკადემიისა გენერალი პეტროვი დაინიშნა სახაზინო რკინის გზის დროებითის გამგეობის თავ-მჯდომარედ.

«Гражданинъ»-ი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭოს პირველს კრებაზე, რომელზედაც ლაპარაკი იყო უჩასტკის უფროსებზე, წაკითხულ იქმნა კონტრ-პროექტი სასახლის მინისტრისა. კონტრ-პროექტი ამბობდა, რომ უჩასტკის უფროსების მაგივრად დაარსდეს თანამდებობა მაზრის უფროსისაო. უჩასტკის უფროსების გამო კრებანი შაბათობით იქმნება.

ბელგრადი. დიდს სკუპჩინაში არჩეულ იქმნა 500-ზე მეტი რადიკალი და 100-მდე ლიბერალი; ნაპრედნიაკებში-კი არც ერთი არ იქმნა ამორჩეული.

7 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია, რომ საქალებო სასწავლებელს, რომელიც ჩერნოგორიის სატახტო ცეტინიეში იმყოფება, წლიურად მიეცეს 10,000 ავსტრიული გულდენი 5,700 მანეთის მაგიერ; ამ სასწავლებელში მოსამსახურეთა მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდგან პენსია: სასწავლებლის უფროსს 25 წლის სამსახურისათვის—1,500 მანეთი, 15 წლისათვის—750 მან., 10 წლისათვის—375 მან.; უფროსის თანაშემწეს 25 წლის სამსახურისათვის—800 მან., 15 წლისათვის—400 მან. და 10 წლისათვის—200 მან; მასწავლებელს-ქალს 25 წლისათვის—500 მან., 15 წლისათვის—250 მან. და 10 წლისათვის—150 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 2 დეკემბ.

	მყიდველნი	გამყიდველნი	გარიგებანი
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 82
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	$155\frac{3}{4}$
მანათიანი ვერცხლის ფული	1 18	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	$272\frac{3}{4}$
—მეორისა	$242\frac{1}{2}$	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	97	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	97	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	81	— „	— „

განცხადებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 4711
რეინ-მუკეტი
სურნელოვანებათა:
ალპიის ყვავილებისა, ყვითელის იისა, იასამანისა, ვარდ-შროშანისა, ზამბახისა, ოპოპონაქსისა, რეზედასი, რეინის ვარდისა, რეინის იათა, რეინის ყვავილთა და ძურწასი.
ჩინებული მაგარი და იაფი სურნელოვანი წყლები ცხვირსახოცებისათვის.
შუშა ¼ გირვანქიანი ჰღირს
1 მან. 25 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სათუთიაქო მაღაზიებში. (2—2)

სოლომან მამულაშვილი,
გამოცდილი მებაღე,
ეძებს ადგილს. კარგად იცის მოვლა ვაზისა და ხეხილისა. უმსახურნია თავ. ივ. კონ. ბაგრატიონ-მუხრანსკისას და ამისი მოწმობაცა აქვს. ადრესი რედაქციაში. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
მამიდა ასმათი
მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.
წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.
ფასი:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 ›	5 „ 25 „
10 „	8 „ 75 „	4 ›	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 ›	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 ›	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 ›	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.
თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.
თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.
ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:
ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.
ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას აღარ მოსთხოვენ.
არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.
პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Дов. ценз. Тифлисъ 7-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე